

<https://hotel24.ge/> ტარიფების მართვა.


შედით საიტზე <https://hotel24.ge/> და გაიარეთ ავტორიზაცია თქვენი მიმღების მომხმარებლის სახელით და პაროლით.



შემდეგ გადადით მენიუში, რომელიც მდებარეობს ლოგოს გვერდით.



მენიუში, განყოფილებაში „ქონების მართვა“ დააკლიკეთ „ტარიფების დაფა“.



გაიხსება ტარიფების მართვის დაფა.

ფუნქციონალის აღწერა:


- 1** - რესურსის (ნომრის) სახელი. დაფაზე გამოტანილია ყველა რესურსის ტიპი, რომელიც არსებობს თქვენს სასტუმროში.
- 2** - ცვლილების სტატუსი. ცვლილების განხორციელების შემდეგ გამოჩნდება ცვლილების სტატუსის იკონკა.
- 3** - ტარიფის სახელი (შეიძლება იყოს მაგალითად):
 - ტარიფი მოცემულია ერთ ნომერზე ერთ ღამეში
 - ტარიფი მოცემულია მხოლოდ 1 პერსონის შესვლის შემთხვევაში ერთ ღამეში
 - ტარიფი მოცემულია თითო პერსონაზე ერთ ღამეში
- 4** - იმ შემთხვევაში თუ ტარიფები გაქვთ პერსონების რაოდენობის მიხედვით, მაშინ ამ ველში მითითებულია მინიმალური პერსონების რაოდენობა, რომელიც საჭიროა, რომ დაიჯავშნოს ნომერი. (გაითვალისწინეთ, რომ ბავშვიც ჩვეულებრივი პერსონაა)
- 5** - ტარიფების დროის ინტერვალი - ტარიფების მოქმედების ვადა (ჩათვლით).
 - ა) თუ სასტუმროში გაქვთ სეზონური ფასები, მაშინ ტარიფებში შეიძლება იყოს ერთდროულად ბევრი პერიოდი.
 - ბ) თუ არ გაქვთ მაშინ იქნება მხოლოდ ერთი პერიოდი, რომელიც ჩვენს მიერ თავიდან ყენდება 1 წლით. თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ მოქმედების ვადა. ამ სქემის შემთხვევაში ღილაკი **#9** არ

გამოჩნდება (ვერ დაამატებთ სეზონურ ტარიფს). ასევე, ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს შეყვანილი დამატებითი ტარიფი, მაგალითად „ტარიფი მოცემულია მხოლოდ 1 პერსონის შესვლის შემთხვევაში ერთ ღამეში“, რომლის პერიოდი ასევე შეგიძლიათ გააგრძელოთ.

6 - ფასი ლარებში - მიუთითეთ ტარიფი ლარებში და აუცილებლად დღგ-ს ჩათვლით (თუ ხართ დღგ-ს გადამხდელი)

7 - შენახვა - დეტალების რედაქტირების შემდეგ აუცილებელია დააჭიროთ „შენახვა“

8 - წაშლა - თუ გსურთ სეზონური ტარიფის წაშლა დააჭირეთ **#8** იკონკას. ტარიფი წაიშლება, მაგრამ დროებით დარჩება გვერდზე, სანამ არ გადატვირთავთ ან დახურავთ გვერდს. თუ შეცდომით დააჭირეთ წაშლას ან გადაიფიქრეთ შეგიძლიათ დააბრუნოთ ტარიფი,

დასაბრუნებლად დააჭირეთ  .

9 - ახალი სეზონური ფასის დამატება

#9 ღილაკზე დაკლიკების შემდეგ გაიხსნება ახალი სეზონური ფასის დამატების გვერდი.

ამ გვერდზე შეგიძლიათ ერთდროულად დაამატოთ სეზონური ფასი ყველა თქვენი რესურსის (ნომრის) ტიპისთვის.

1 სატესტო - ახალი სეზონური ტარიფების დამატების დაფა

2 #	3 ტარიფის სახელი	4 მინიმალური რაოდენობა პერსონების	5 ტარიფების დროის ინტერვალი	6 ფასი ლარებში	7	8
ნომერი Quadruple	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> 9 ↓ to <input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> შენახვა	<input type="text"/>
ნომერი Double	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> ↓ to <input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> შენახვა	<input type="text"/>
ნომერი Twin	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> to <input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/> შენახვა	<input type="text"/>



10 **11**

ფუნქციონალის აღწერა:

1 – ქონების სახელი, რომელსაც არედაქტირებთ

2 – ცვლილების სტატუსი. ცვლილების განხორციელების შემდეგ გამოჩნდება ცვლილების სტატუსის იკონკა.

3 – ტარიფის სახელი - ამ ველში იწერება რომელ რესურსის (ნომრის) ტიპზე ამატებთ სეზონურ ფასს.

- 4 – იმ შემთხვევაში თუ ტარიფები გაქვთ პერსონების რაოდენობის მიხედვით, მაშინ ამ ველში მიუთითეთ მინიმალური პერსონების რაოდენობა, რომელიც საჭიროა, რომ დაიჯავშნოს ნომერი. (გაითვალისწინეთ, რომ ბავშვიც ჩვეულებრივი პერსონაა)
- 5 – ტარიფების დროის ინტერვალი - ტარიფების მოქმედების ვადა (ჩათვლით).
- 6 – ფასი ლარებში - მიუთითეთ ტარიფი ლარებში და აუცილებლად დღგ-ს ჩათვლით (თუ ხართ დღგ-ს გადამხდელი)
- 7 – შენახვა - დეტალების შევსების შემდეგ აუცილებელია დააჭიროთ „შენახვა“
- 8 – წაშლა - თუ არ გსურთ კონკრეტული რესურსის (ნომრის) ტიპისთვის სეზონური ტარიფის განსაზღვრა დააჭირეთ **#8** იკონკას და მისი შევსება აღარ იქნება სავალდებულო. ტარიფის ჩანაწერი დროებით დარჩება გვერდზე, სანამ არ გადატვირთავთ ან დახურავთ გვერდს. თუ შეცდომით დააჭირეთ წაშლას ან გადაიფიქრეთ შეგიძლიათ დააბრუნოთ ტარიფი, დასაბრუნებლად დააჭირეთ .
- 9 –  სეზონური ტარიფების თარიღების დადუბლირება - იგივე ტარიფები დაკოპირდება შემდეგი რესურსის (ნომრის) ტიპისთვის.
- 10 – გამოიყენეთ ეს ღილაკი, რომ ამ გვერდიდან გაუსვლელად დაამატოთ შემდეგი სეზონის ტარიფები, მიმდინარე სეზონური ტარიფების ჩამატების შემდეგ.
- 11 – გვერდის დახურვა.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და გისურვებთ წარმატებებს!

<https://hotel24.ge/>

